ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3584934

ნომერი: AR1532755

თარიღი : 15.08.2017

გაცემის თარიღი : 03.10.2017

გაცნობის თარიღი : 04.10.2017

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შატბერაშვილის და კეკელიძის ქუჩის მიმდებარედ, (ნაკვეთი N3/62) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნუგზარ მიქელაძე პ/ნ 01024000667
- ვაჟა ფშაველას გამზირი 13

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: "I" საცხოვრებელი კომპლექსი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიორგი მარსაგიშვილი
- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "G 2"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204529374

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "ენგი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205000835
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ნუგზარ მიქელაძე

- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01024000667

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2140427
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 17.08.2015

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხად გაცნობებთ:

ვინაიდან თქვენს მიერ სრულად არ არის წარმოდგენილი დოკუმენტაცია, კერძოდ :
წამოდგენილ იქნა 18.06.2015 წლის სააღსრულებო ფურცელი, რომლითაც დადგინდა მორიგება სს „საქართველოს ბანკს“, ნუგზარ მიქელაძის, ამხანაგობა ტერ-ვერას, მალხაზ თოფურიას და დავით სამადაშვილს შორის. 2015 წლის 18 ივნისის მორიგების აქტის 2.2.1 პუნქტის თანახმად წინამდებარე მორიგების აქტის ხელმოწერიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადაში არსებული პროექტის შესაბამისად სრულად უნდა ყოფილიყო დასრულებული საცხოვრებელი კორპუსი (I-IV), დასრულება გულისხმობდა: საცხოვრებელი კორპუსის მიღებას ექსპლუატაციაში, ზედამხედველობის სამსახურის მიერ გაცემულ უნდა ყოფილიყო დადებითი დასკვნა ან აღნიშნული დადასტურებული უნდა ყოფილიყო ბანკის წარმომადგენლის მიერ. ვინადიან 6 თვიანი ვადა დარღვეულია საჭიროა წარმოდგენილ იქნეს სს „საქართველოს ბანკის“ წესდების შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული თანხმობა მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელებაზე.

სამსახურის მიერ 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში დაგევალათ დოკუმენტაციის წარმოდგენა.

ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია სამსახურში სრულყოფილად წარმოდგენილი არ იქნა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია. ხოლო, მე-5 ნაწილის თანახმად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ. აღნიშნულის შესახებ გეცნობათ სამსახურის 28.09.2017 წ . №3573845 გადაწყვეტილებითაც.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე თქვენი 15/08/2017 წლის AR1532755 განცხადება რჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.